საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10.10210397**

თარიღი:**08/02/2021**

მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებები და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54 -ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ე.ე" და "ე.ი" ქვეპუნქტების, 853 მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" და "თ" ქვეპუნქტების, 854 მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების" 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩეველებთან კონსულტაციები #1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში;
2. მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოს მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში;
3. თითოეულ დასახლებაში განსახორცილებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს #1 დანართის მიხედვით;
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09:00 -დან 18:00 საათამდე, 2021 წლის 22 თებერვლამდე;
5. დასახლების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა;

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

- ნოდარ ტყებუჩავა - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოადგილე – 599855816;

- ზავილი ჭანტურია – ზედამხედველობის სამსახურის, ზედამხედველობის განყოფილების უფროსი – 599855817;

- თამაზ Gგაბელაია - ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი – 577 60 32 62 - shdarcmeidze@gmail.com

- ლაშა ჩალიგავა - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის დამხმარე სპეციალისტი – 599415138;- shdarcmeidze@gmail.com;

- ზაზა გვაზავა – მერის წარმომადგენელი ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში;

- მამია კუცია - მერის წარმომადგენელი სუჯუნის ადმინისტრაციულ ერთეულში;

- ზაზა ჯალაღონია - მერის წარმომადგენელი წყემის ადმინისტრაციულ ერთეულში;

- თამაზ კუპრეიშვილი - მერის წარმომადგენელი ნაესაკოვოს ადმინისტრაციულ ერთეულში;

- თედორე ჭანტურია - მერის წარმომადგენელი მარნის ადმინისტრაციულ ერთეულში;

- ცეზარ ქუნთელია - მერის წარმომადგენელი ქოლობნის ადმინისტრაციულ ერთეულში;

- ნესტორ ძიძიგური - მერის წარმომადგენელი პ/მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში;

- ზაზა ვეკუა - მერის წარმომადგენელი სამიქაოს ადმინისტრაციულ ერთეულში;

- გიორგი პაპასკირი - მერის წარმომადგენელი გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულში;

- ანდრო ქვილითაია - მერის წარმომადგენელი ტყვირის ადმინისტრაციულ ერთეულში;

- მურთაზ ჯალაღონია - მერის წარმომადგენელი ძველი აბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში;

- გიგა ნადარეიშვილი - მერის წარმომადგენელი ონტოფოს ადმინისტრაციულ ერთეულში;

- ამირან მელია - მერის წარმომადგენელი სეფიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში;

- ბაგრატ ჩაგანავა - მერის წარმომადგენელი კეთილარის ადმინისტრაციულ ერთეულში;

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან;

8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი რუსთაველის ქ # 247) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ლევან მაკალათია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი